



თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის: სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში

დასკვნითი კონფერენცია

27 თებერვალი, 2017



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



SWEDEN



პროექტის მიზანი

ქვეყანაში ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაუმჯობესება და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე ანგარიშვალდებულების გაზრდა

პროექტის ამოცანები

- 1) **სამოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება**, რათა მათ ხელი შეუწყონ სახელმწიფო სახსრების გამჭვირვალობის გაზრდაზე მიმართულ რეფორმებს
- 2) **სამოქალაქო სამოგადოების წარმომადგენლებსა და საჯარო მოხელეებს შორის დიალოგის გააქტიურება**, რომელიც საბიუჯეტო სახსრების სამოგადოებრივი მონიტორინგის გაუმჯობესებაზე იქნება მიმართული

განხორციელების ვადები: 2014 წლის ნოემბერი - 2017 წლის თებერვალი

ბიუჯეტი: 277,625 ევრო



პარტნიორები



ბიუჯეტის მონიტორინგის საკოორდინაციო საბჭო

- სახელმწიფო ფინანსების სამოქალაქო მონიტორინგის გაუმჯობესება
- სექტორთა შორის დიალოგის ხელშეწყობა



სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის სტრატეგიის
განხორციელების საკოორდინაციო საბჭო (MoF)

სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა - „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“



მიზანი:

- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის კოორდინაციის გაძლიერება და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება
- საქართველოში საჯარო ფინანსების მართვისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის რეფორმებში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის გაზრდა

პლატფორმის წევრები (ანბანური თანამიმდევრობით)

- **ევროპის ფონდი (თავმჯდომარე)**
- **ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი**
- ველფეარ ფაუნდეიშენი
- იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოება - იმედი
- კავშირი სამოქალაქო განვითარებისათვის
- პარტნიორობა ადმიანის უფლებებისთვის
- **პი ემ სი კვლევითი ცენტრი**
- **რეგიონის განვითარების ცენტრი**
- სამოქალაქო ინიციატივა
- **საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (თავმჯდომარის მოადგილე)**
- **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**
- საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
- **საქართველოს სასოფლო დარბაზი**



ტრენინგები



საჯარო პოლიტიკის შემუშავების პრინციპები და საჯარო ფინანსების მართვის მონიტორინგის მექანიზმები (PMCG)

მიზანი:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება სახელმწიფო ხარჯების მონიტორინგის მიმართულებით
- ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაზრდაზე მიმართული რეფორმებში აქტიური სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა

2015 წლის თებერვალი-აპრილი, 4 ტრენინგი:

- **80**-ზე მეტი აპლიკანტი
- **37** დატრენინგებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია (თბილისი, რეგიონები)
- სახელმწიფო ხარჯების მონიტორინგზე გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში **16** აპლიკანტი ორგანიზაციიდან **11** ტრენინგების სერიის მონაწილე იყო, ხოლო **4** გამარჯვებული საგრანტო პროექტიდან **3**-ს ტრენინგების მონაწილე ორგანიზაცია ახორციელებს.



ბიუჯეტის გამჭვირვალობა და სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში:

I. 2015 წლის 31 ივლისი

- პლატფორმა „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ (მიზნები და ამოცანები)
- საჯარო ფინანსების მართვის მონიტორინგის თემამზე გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ოთხი პროექტის პრეზენტაცია

II. 2015 წლის 16 დეკემბერი

- საჯარო ფინანსების მონიტორინგი - საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში და 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანალიზი
- თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო ორგანიზაციების საბიუჯეტო განაცხადების წარდგენისა და ანგარიშგების არსებული პრაქტიკა

III. 2016 წლის 14 ივნისი

- ოლენა კრილოვა-მიულერის კვლევა „საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის მონიტორინგის მექანიზმები“

IV. 2017 წლის 27 თებერვალი

მიზანი: საჯარო ფინანსების მართვის მონიტორინგის ხელშეწყობა

4 პროექტი (ჯამური ღირებულება **135,519.5 ლარი**)

- **საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია:** პროგრამის "ანარმოე საქართველოში" ფინანსური მონიტორინგი და ეფექტიანობის შეფასება
- **საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი:** რა ღირს თვითმმართველობის სერვისი?
- **ველფაერ ფაუნდეიშენი (Welfare Foundation):** საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტის სამოქალაქო მონიტორინგი
- **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:** მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

“Position Paper”


ანალიტიკური დოკუმენტი და რეკომენდაციები (PMCG)

1. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება
3. მოქალაქეთა ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში

საზოგადოების ინფორმირების კამპანია



- **გზამკვლევი:** საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების პროცესი და ბიუჯეტის ხარჯების მონიტორინგი (PMCG)
- **სოციალური რეკლამის რგოლები (Production 42)**
- **რადიოგადაცემები (Palitra Radio)**
- **კვლევა:** სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმების შეფასება საქართველოში (ოლენა კრილოვა-მიულერი)



სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმების შეფასება საქართველოში

დასკვნები და რეკომენდაციები:

ერთვნილი დონე:

- საქართველოს ბიუჯეტის საშუალოგადიანი ჩარჩოსა და წლიური ბიუჯეტის შემუშავების უფრო გამჭვირვალე და თანამონაწილეობითი პროცესის ხელშეწყობა (ფინანსთა სამინისტროს როლი)
- ცენტრალურ დონეზე მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობა მაკროეკონომიკურ და ფისკალურ ანალიზში, პროგრამულ ბიუჯეტირებაში, ბიუჯეტის ანალიზსა და სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგში
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან წლიური ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, კონსულტაციის პროცესისთვის სათანადო დროის დათმობა (პარლამენტის როლი)
- საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საჯარო ფინანსების სამოქალაქო მონიტორინგის ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება
- სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება
- სამოქალაქო ჩართულობის ისეთი ფორმების გამოყენების უზრუნველყოფა, რომლებიც ზეგავლენას არ მოახდენს აუდიტის პროცესის ობიექტურობასა და დამოუკიდებლობაზე.

სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმების შეფასება საქართველოში

დასკვნები და რეკომენდაციები:

ადგილობრივი დონე:

- ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კულტურის გაუმჯობესება და მათი ინფორმირება ადგილობრივი სახელმწიფო პროგრამების, შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებებისა და სამოქალაქო ჩართულობის არსებული მექანიზმების შესახებ: ამ მიზნით, სახელმწიფომ და დონორმა ორგანიზაციებმა შესაბამისი პროგრამები უნდა შეიმუშავონ ადგილობრივი ამხანაგობებისა და მომსახურების მიმღებთა (მომხმარებელთა) მხარდასაჭერად
- შესაბამისი რესურსები უნდა გამოიყოს საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გამოცდილების სისტემატური მონიტორინგისა და ანალიზის მიზნით (ადგილობრივი პრობლემების ადვოკატირება ეროვნულ დონეზე)
- მმართველობის სისტემის რეფორმამ ეტაპობრივად ფისკალური დეცენტრალიზაციაც უნდა მოიცვას, რაც ღია მმართველობის პარტნიორობის კონცეფციასაც მოიცავს
- ბიუჯეტის გამჭვირვალობის მისაღწევად, აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი პირებისა და საჯარო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის უკეთესი რეგულირება, რაც, თავის მხრივ, შესაბამისი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასაც უზრუნველყოფს.

სამომავლო გეგმები



- **ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და საჯარო ფინანსების მონიტორინგის** საკითხებზე მუშაობის გაგრძელება, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა
- **სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის** - „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ - ფორმატში, სფეროში არსებული აქტუალური პრობლემების გამოვლენა და ადვოკატირება
- **სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების საკოორდინაციო საბჭოსთან (MoF) აქტიური თანამშრომლობის** გაგრძელება



საკონტაქტო ინფორმაცია



- ნათია მელაძე, პროგრამის მენეჯერი
nmeladze@epfound.ge
- მარიამ რობიტაშვილი, პროგრამის ასისტენტი
mrobitashvili@epfound.ge





მადლობა ყურადღებისთვის!

